

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო

ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური სიტუაცია - საფრთხეები, გამოწვევები

28 თებერვალი, 2019

სეპარატისტული რეჟიმისა და საოკუპაციო ძალის მიერ აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეების მიმართ არარაციონალური, მომხმარებლური დამოკიდებულებისა და გარემოს დაბინძურების პროცესების მიმართ უყურადღებობის შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე წლების განმავლობაში საგანგაშო ეკოლოგიური ვითარება ყალიბდება.

უკონტროლო ტერიტორიაზე შექმნილ შემაშფოთებელ სიტუაციაში ლომის წილი მიუძღვის საოკუპაციო ძალას, რომელიც ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს აფხაზეთის ბუნებრივი სიმდიდრეები, თავის ტერიტორიაზე გაიტანოს ყველაფერი, რისი გატანაც და მოხმარებაც შეიძლება, გააჩანაგოს აფხაზეთის უნიკალური ბუნება, რაც თავისთავად საფრთხეს უქმნის არა მარტო აღნიშნულ რეგიონსა და იქ მცხოვრებ ადამიანებს, არამედ მიმდებარე სივრცეებსაც. რუსეთის ფედერაციაში, ოკუპირებული ტერიტორიების “დამოუკიდებლობის” აღიარების შემდეგ ეკოშეტევა დაიწყო აფხაზეთის სანაპირო ზოლსა და მდინარეებზე, საიდანაც დაუგეგმავად, გარემო პირობების გათვალისწინებისა და მოფრთხილების გარეშე, ბარბაროსულად ხდება ინერტული მასალების მოპოვება და ექსპორტი.

აფხაზეთიდან ინერტული მასალების ინტენსიური გატანა 2008 წლიდან დაიწყო. ამ პერიოდში სოჭის ოლიმპიური ქალაქის მშენებლობისთვის რუსულ მხარეს სოხუმის პორტიდან ყოველდღიურად დიდი ოდენობით ინერტული მასალა გაჰქონდა. როგორც ინტერნეტპორტალი NTKnews.ru წერდა, პორტს უმთავრესად სოჭში აფხაზეთში მოპოვებული ქვა-ლორლის, ხრეშისა და ნახშირის გასატანად იყენებდნენ.

ამავე პერიოდში გავრცელდა რუსული ტელეკომპანია OPT-ს მიერ გადაცემული ვიდეოკადრები და სხვადასხვა წყაროებიდან მიღებული სლაიდები, რომლებიც მდინარე გუმისთის ხეობაში ქვა-ლორლის მოპოვების სამუშაოებს ასახავდნენ.

ექსპერტების აზრით, აფხაზეთის სანაპირო ზოლში ინერტული მასალების დაუგეგმავი, ბარბაროსული მოპოვება შავი ზღვის ეკოსისტემას რეალური საფრთხის ქვეშ აყენებს, რაც გამოიწვევს სანაპიროების-პლაჟების დეგრადაციას, ახალი პრობლემური კერების წარმოქმნას, არსებული მდგომარეობის გამწვავებას და ინერტული მასალების ინტენსიური მოპოვების გამო ზღვის ექსპანსიას. ასეთი ტენდენციით, დასახლებულ პუნქტებს შორის, რომლებიც რეკრეაციულ ზონას დაკარგავენ, შესაძლოა, ქვემო გულრიფში და ოჩამჩირეც აღმოჩნდეს და რამდენიმე წელიწადში, სავარაუდოდ, ამ ადგილებიდან ადგილობრივი მოსახლეობის ევაკუაცია გახდეს საჭირო.

“აფხაზეთის სანაპიროდან ინერტული მასალების ამოღების გაგრძელების შემთხვევაში შავი ზღვის ეკოსისტემა რეაბილიტაციას არ დაექვემდებარება,” - აღნიშნულია 2010 წელს

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ გაკეთებულ განცხადებაში. სამინისტრომ საერთაშორისო საზოგადოებას და შესაბამის ორგანიზაციებს არაერთგზის მოუწოდა სათანადო ყურადღება მიაქციონ საქმიანობას, რომელიც ზიანს აყენებს აფხაზეთის სანაპირო ზოლს.

როგორც ცნობილია, შავი ზღვის სანაპირო 315 კილომეტრს შეადგენს, აქედან 1961 წლისათვის 145 კილომეტრი მოირეცხა, რაც განპირობებული იყო ჰესების მშენებლობითა და მდინარეების კალაპოტებში ქვა-ღორღის გაუმართლებელი მოპოვებით. მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს შავი ზღვის სანაპირო ზოლში 1960-1980-იანი წლების ბოლომდე მიმდინარეობდა ინტენსიური ნაპირგამაგრებითი სამუშაოები, იქმნებოდა ხელოვნური პლაჟები, რაც 90-იანი წლების დასაწყისში შეაჩერეს.

ქართველი ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ამბიციური რუსული პროექტის განხორციელების შემთხვევაში, რომელიც სოჭში 2014 წლის ოლიმპიადისთვის ხელოვნური კუნძულის შექმნას ითვალისწინებდა, აფხაზეთის სანაპიროს გარდაუვალი და სრული ეკოლოგიური კატასტროფა დაემუქრება, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სპეციალისტთა გათვლებით, კუნძულის შექმნისათვის საჭირო იყო სულ მცირე 120 მილიონი ტონა ქვა-ღორღი, სწორედ იმდენი, რამდენის ამოღებაც დაიგეგმა აფხაზეთის სანაპირო ზოლიდან, რაც ყოველად დაუშვებელია.

რუსი ექსპერტებიც ღიად საუბრობდნენ იმ საფრთხეებზე, რასაც სოჭის ოლიმპიური ქალაქის ასაშენებლად აფხაზეთის ბუნებისთვის მიყენებული ზიანი გამოიწვევდა. რუსეთის ეკოლოგიის აკადემიის წევრის, გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ნ. ვოლკოვის მიერ ამ საკითხთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნაში აღნიშნულია: “სოჭის ოლიმპიადა არის კაცობრიობის სანინააღმდეგო ეკოლოგიური დანაშაული და კრემლის გეოპოლიტიკური ავანტიურა”.

აფხაზეთის სანაპირო ზოლზე მოსალოდნელი ეკოლოგიური კატასტროფის საკითხებზე 2011 წლის ნოემბერში, თბილისში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკის სამინისტროს ინიციატივით კონფერენცია ჩატარდა, რომლის მიზანი პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმირება იყო.

თავად აფხაზებიც აცნობიერებდნენ იმ საშიშროებას, რაც შეიძლებოდა მოჰყოლოდა აფხაზეთის მდინარეებიდან ინერტული მასალების დაუგეგმავ, არარაციონალურ ამოღებას. აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის იმდროინდელმა ე.წ. ხელმძღვანელმა ალექსანდრე ანქვაბმა 2012 წლის 6 დეკემბერს გაკეთებულ განცხადებაში აღნიშნა, რომ აფხაზეთის მდინარეებში ინერტული მასალების მოპოვება რეგიონის ეკოლოგიას სერიოზულად დააზიანებს, ამიტომ აფხაზური მხარე სოჭის ოლიმპიადის ობიექტების ასაშენებლად ინერტულ მასალებს შეუზღუდავად ვერ გასცემს. ანქვაბის განცხადებით, აფხაზეთის ეკოლოგიისათვის უსაფრთხოდ ინერტული მასალების ამოღება მხოლოდ მდინარე კოდორიდან შეიძლება.

“სოჭის ოლიმპიური მშენებლობისათვის აფხაზეთისგან რისი მოლოდინიც შეიძლება ჰქონდეთ, ეს არის ერთი, მაქსიმუმ ორი მილიონი კუბური მეტრი ინერტული მასალა. რუსებს დიდი მადა აქვთ, აფხაზებს კი მწირი შესაძლებლობები. მათი სურვილები აშკარად არ შეესაბამება ჩვენს შესაძლებლობებს. ჩვენ არ დავუშვებთ, რომ ფსოუ, ბზიფი, გუმისთა და სხვა მდინარეები სამრეწველო ობიექტებად გადაიქცეს, მილიონობით კუბურ მეტრზე კი საუბარიც დაუშვებელია. გარემოსათვის უვნებლად, ინერტული მასალების მოპოვება მხოლოდ კოდორში შეიძლება. ეს

მდინარე აფხაზეთში ერთადერთია, რომელიც სანაპიროს არ ქმნის. დანარჩენ მდინარეებში, ეკოლოგების აზრით, ინერტული მასალების მოპოვება არ შეიძლება,” - განაცხადა ანქეაბმა და დასძინა, რომ ის, გზების საფარის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, არ დაუშვებს ინერტული მასალების საავტომობილო გზებით ტრანსპორტირებას.

2011 წლის ოქტომბერში რუსეთის სარკინიგზო ხაზებმა განაახლეს ოკუპირებული რეგიონიდან ინერტული მასალების (ქვიშა, ხრეში) ექსპორტი სოჭის ოლიმპიადის ინტრასტრუქტურის მშენებლობისათვის, რის გამოც საქართველოს ხელისუფლებამ საერთაშორისო საზოგადოებას მიმართა შესაბამისი შეფასება მიეცათ რუსეთის უკანონო ქმედებებისათვის.

„ოკუპანტი ძალის და მარიონეტული რეჟიმის დამანგრეველი ქმედებების გამო შავი ზღვის სანაპირო აბრაზიას განიცდის, მათ მიერ მდინარე გუმისთიდან ინერტული მასალების მოპოვებამ მენყერები და მიკროკლიმატის გადაგვარება გამოიწვია. ამასთან, რუსული მხარის მიერ ნავთობის უკანონო მოძიება შავ ზღვაში, საქართველოს ტერიტორიულ წყლებში არალეგიტიმურად, გარემოს დაცვის ნორმების დარღვევით ხდება“, - ამის შესახებ საქართველოს წარმომადგენლებმა მექსიკაში გაერო-ს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო-კონვენციის მხარეთა მე-16 კონფერენციაზე განაცხადეს.

მიუხედავად გარემოს დაცვის მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციების მხრიდან გამოთქმული პროტესტისა, სოჭის ოლიმპიური ქალაქის ასაშენებლად აფხაზეთის ტერიტორიაზე ინერტული მასალების მოპოვების პროცესი არ შეწყვეტილა. საპროტესტო ნოტა საქართველოს ხელისუფლების მხრიდანაც არაერთხელ გაიგზავნა. თუმცა ამ განცხადებებს რეაგირება არც კრემლის და არც სეპარატისტების მხრიდან არ მოჰყოლია. ამასობაში, როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ზღვის ნაპირმა 2 მეტრით გადმოინია.

სოჭის ოლიმპიადის შემდეგ რუსეთმა აფხაზეთში ინერტული მასალების მოპოვებისა და გატანის მიმართ ინტერესი გარკვეულწილად შეანელა და ამ მიმართულებით ხანგრძლივი პაუზა დაფიქსირდა. 2017 წლიდან კი აფხაზურ მხარეს რუსეთში ინერტული მასალების ექსპორტირების ახალი შანსი გაუჩნდა.

2017 წლის ოქტომბერში მე-8 რუსულ-აფხაზური საქმიანი ფორუმის ფარგლებში აფხაზეთის შპს „გაერთიანებულმა გადამამუშავებელმა კომპლექსმა“ და რუსულმა კომპანიამ შპს „ტეხნოლოგიიმ“ შეთანხმება გააფორმეს რუსეთის ფედერაციისათვის 600 ათასი ტონა ქვიშისა და ქვა-ლორღის მიწოდების თაობაზე. აფხაზური მხარის თქმით, ეს პირველი შეთანხმებაა ინერტული მასალების რუსეთის ბაზარზე გატანასთან დაკავშირებით“.

2018 წლის 11 ივნისს ოკუპირებული აფხაზეთიდან ყირიმში „ორმხრივი შეთანხმების“ თანახმად ქვა-ლორღის პირველი პარტია გაიგზავნა. „ხანგრძლივი პაუზის შემდეგ ჩვენ ისევ დავინწყეთ ქვა-ლორღის ექსპორტი და დღეს პირველი პარტია - 3 ათასი ტონა გავაგზავნეთ ყირიმში. იმედი გვაქვს, რომ წლის ბოლომდე კიდევ 200 ათას ტონა ინერტულ მასალას გავაგზავნით. ამ პროდუქციის საჭიროება განპირობებულია ყირიმის ტერიტორიაზე ფედერალური მიზნობრივი პროგრამების განხორციელებით. აფხაზეთის მენარმეებისთვის ეს დიდი მხარდაჭერაა“. - განაცხადა რუსულ საინფორმაციო სააგენტო “TACC“-თან საუბარში აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის მინისტრმა ადგურ არძინბამ.

მან ასევე, მიუთითა, რომ აფხაზეთი მზადაა რუსეთის ბაზარს წლის განმავლობაში 1 მლნ ტონა ხარისხიანი ინერტული მასალა მიაწოდოს. სამინისტროს მონაცემებით ამჟამად აფხაზეთში შესწავლილი ინერტული მასალების მოცულობა, მათ შორის, ქვიშისა და ქვალორლისა, დახლოებით 10 მლნ ტონას შეადგენს.

„პეტერბურგის საერთაშორისო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში, რომელიც 2018 წელს ჩატარდა, მე საუბარი მქონდა რუსეთის ახალ ვიცე-პრემიერთან ვიტალი მუტკოსთან, რომელიც აფხაზეთის მიმართულებით შეზღუდვების მოხსნის საკითხით არის დაკავებული. შესაბამისი წერილი უკვე გაიგზავნა აფხაზეთიდან. იმედი გვაქვს, რომ ეს საკითხი უახლოეს ხანებში გადაწყდება, რაც შესაძლებლობას მოგვცემს კიდევ უფრო დიდი მოცულობით მოვახდინოთ ინერტული მასალების ექსპორტირება“, - აღნიშნა აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის მინისტრმა.

ინერტული მასალების პირველი პარტიის გაგზავნიდან ორი კვირის შემდეგ აფხაზეთიდან ყირიმში მეორე სატვირთო გემით 2,5 ათასი ტონა ქვა-ლორლი გაიგზავნა გზების მშენებლობისთვის.

„პირველი ტვირთი ყირიმში წარმატებით ჩავიდა და გადამუშავების შემდეგ ყირიმის ხილიდან სევასტოპოლამდე გზის მშენებლობისთვის იქნა გამოყენებული. ყირიმისთვის ქვა-ლორლის მიწოდება რეგულარულ სახეს მიიღებს და წლის ბოლომდე ნახევარკუნძულზე 200 ათასი ტონა ინერტული მასალა გაიგზავნება“. - განაცხადა აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის სამინისტროს პრეს-მდივანმა გიორგი ბერძენიამ.

მისი თქმით, დღეისათვის აფხაზეთში ქვა-ლორლის მოპოვებით მხოლოდ ერთი კომპანია „გაერთიანებული გადამმუშავებელი კომპლექსი“ არის დაკავებული. მაგრამ პერსპექტივაში ამ უბანზე სხვა ფირმების მოზიდვაც იგეგმება, - აღნიშნა პრეს-მდივანმა.

„აფხაზეთისა და ყირიმის თანამშრომლობა პოზიტიურად მოქმედებს აფხაზეთის ბიუჯეტის მდგომარეობაზე. 200 ათასი ტონა ინერტული მასალისგან ბიუჯეტში 20 მლნ რუბლი შემოვა გადასახადებისა და სხვა დარიცხვების სახით. მომავალი წლისთვის, როგორც დაგეგმილია, ყირიმში 400 ათას ტონა ქვა-ლორლს გავაგზავნით, რის შედეგადაც შემოსული თანხა გაიზრდება“, - აღნიშნა ბერძენიამ.

აფხაზური მხარე ამტკიცებს, რომ ინერტული მასალების მოპოვება „აფხაზეთის ეკოლოგიისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს და აფხაზეთის ბუნებას და ეკოლოგიურ სიტუაციას ზიანს არ მიაყენებს.“ „მთელი საქმიანობა შეთანხმებულია ეკოლოგებთან, რომლებიც აფხაზეთის ბუნებისთვის ზიანის მიუყენებლად წელიწადში 1 მლნ ტონა ქვა-ლორლის მოპოვების უფლებას გვაძლევენ“, - აცხადებენ აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის სამინისტროში.

თუმცა აფხაზეთში შექმნილ ეკოლოგიურ სიტუაციაზე განსხვავებული მოსაზრებები გააჩნიათ ექსპერტებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ბუნებრივი სიმდიდრეების ხელაღებით და ბარბაროსულად მოხმარება რეგიონს გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს.

ოკუპირებული აფხაზეთის ეკოსისტემაში არსებული საფრთხეების ანალიზსა და მათი აღმოფხვრის გზების ძიებას მიეძღვნა 2018 წლის 3 მაისს თბილისში, *აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სსიპ-ის აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს* მიერ ჩატარებული კონფერენცია თემაზე: „აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მდგომარეობა და მასზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგების ანალიზი“, სადაც მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმო აფხაზეთის შავი

ზღვის სანაპირო ზოლში მდინარეული მყარი ნატანი მასალის შემცირებას ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგად და მისგან გამონვეულ სანაპირო ზოლის ლითოლინამიკური მდგომარეობის რღვევას, რაც უნიკალურ ეკოსისტემას საფრთხეს უქმნის.

კონფერენციაზე გამოიკვეთა აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ძალზე საგანგაშო ეკოლოგიური ვითარება, აღინიშნა, რომ სანაპირო ზოლიდან 4-5 კილომეტრის დაშორებით მდინარეებში, რომელთა მყარი ნატანი უზუნველყოფს სანაპიროს ლითოლინამიკური სისტემის მდგრადობას, ხდება დიდი რაოდენობით ინერტული მასალის მოპოვება, რამაც გააძლიერა პლაჟების მორეცხვის პროცესები.

„საქმე გვაქვს აფხაზეთის უნიკალური რეკრეაციული ეკოსისტემის უხემ ხელყოფასთან. სიტუაცია მოითხოვს, რომ ჩატარდეს საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნება კონფლიქტების გავლენას ეკოლოგიურ გარემოზე. ამ საკითხის გაუღწერებით ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ეკოსისტემის ნგრევის ფაქტები და მისგან მომდინარე საფრთხეები, ის კატასტროფა, რომელიც ემუქრება აფხაზეთს ეკოლოგიური ბალანსის დარღვევის გამო“, - განაცხადეს კონფერენციის მონაწილეებმა.

კონფერენციის ფარგლებში გამოიყენა ბროშურა „აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მდგომარეობა და მასზე ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგების ანალიზი, სადაც ნაჩვენებია ის ნეგატიური პროცესები, რაც აფხაზეთის მდინარეებიდან ინერტული მასალების არარაციონალურმა, დაუგეგმავმა მოპოვებამ განაპირობა.

„1986-2013 წლების დაკვირვების მონაცემებით, ამ პერიოდში სოხუმის კონცხის დასავლეთ სანაპირო ხაზმა ხმელეთისკენ 61 მეტრით გადაინაცვლა (წლიური გადაადგილება 2013 წლამდე შეადგენს 1,6 მეტრს. ჩვეულებრივ პირობებში სანაპირო ხაზის ხმელეთისაკენ გადაადგილების (45მ/საუკუნე) პროგნოზული სიდიდე წელიწადში 0,45 მ-ია. მდინარე გუმისთის ნატანის რეგულირების შემდეგ ამ სიდიდემ დაახლოებით წელიწადში 1 მ შეადგინა. 1976-2013 წლების მონაცემიც 1 მეტრი უნდა ყოფილიყო, რომ არა მდ. გუმისთის ჭალიდან ინერტული მასალის ინტენსიური მოპოვება, რის შედეგადაც წლიურმა მონაცემმა 1,6 მეტრი შეადგინა, ხოლო 2013-2017 წლებისთვის სანაპირო ხაზმა ხმელეთისაკენ გადაინაცვლა 9 მეტრით. ე.ი. წელიწადში 1,8 მეტრით. 1986-2017 წლებში სანაპირო ხაზის ხმელეთისაკენ გადაადგილებამ 70 მეტრი შეადგინა. წლიურმა საშუალო გადაადგილებამ კი 2,25 მეტრი. ასეთი ზრდა გამონვეულია იმიტაც, რომ გამოზიდვის კონუსი გროვდება გუმისთის კანიონის წვერზე და მის ფერდებზე. სანაპიროს გასწვრივ ნაკადში მოქცეული მყარი ნატანი ძლიერ დეფიციტურია“. - აღნიშნულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს მიერ გამოცემულ კრებულში, სადაც, ასევე, საუბარია აფხაზეთის მდინარეების ახლოს მოქმედი ინერტული მასალების გადამამუშავებელი ქარხნების საქმიანობისა და მათი წარმადობის შესახებ.

„მდინარე ბზიფი მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 4 კილომეტრის დაშორებით, აღმოსავლეთით. აქ არსებული საწარმოს წარმადობა შედგენს 200-დან 400 კუბ/მეტრამდე დღეში, საშუალოდ 300 კუბ/მეტრამდე დღეში. წლიურად უშვებს 86 000 კუბურ/მეტრ სამშენებლო ქვიშას, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 632 000 აშშ დოლარს;

ბზიფი 2 მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 8 კილომეტრში აღმოსავლეთით. წარმადობა-400-დან 600 კუბ/მეტრამდე დღეში. საშუალოდ 500 კუბ/მეტრამდე დღეში. წლიურად უშვებს 144 000 კუბ/მეტრ სამშენებლო ქვიშას, რომლის საბაზრო ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1 058 400

აშშ დოლარს. ქარხანაში შემოდის რკინიგზის ჩიხი და, სავარაუდოდ, პროდუქციის ტრანსპორტირება ხდება ძირითადად რკინიგზის ვაგონებით.

ორივე ქარხანა ინერტულ მასალებს იღებს მდინარე ბზიფის კალაპოტიდან წელიწადში 230 000 კუბ/მეტრის მოცულობით.

მდინარე ბზიფს სანაპირო ზოლში შემოაქვს 325 000 კუბ/მეტრი მყარი ნატანი, აქედან პლაჟამგები მყარი ნატანის რაოდენობა შეადგენს 1 000 000 კუბურ/მეტრს. მდინარე გუმისთის ხეობაში განლაგებულია 4 ინერტული მასალის კარიერი და შესაბამისად მათი გადამამუშავებელი ქარხნები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე 2011 წელს აღმოცენდნენ და იქ დღემდე მიმდინარეობს სამთო-მოპოვებითი სამუშაოები. საერთო წლიური მოპოვება ამ კარიერებზე შეადგენს დაახლოებით 665 ათას კუბურ/მეტრ ინერტულ მასალას. ჯამში აღნიშნული კარიერებიდან 2011-2016 წლებში (6 წლის განმავლობაში) ამოღებული და გადამამუშავებულ იქნა 4 მლნ კუბურ/მეტრი ინერტული მასალა. 1 კუბ/მეტრი სამშენებლო ქვის საბაზრო ღირებულება 18 ლარია, რაც დღეისათვის 7,34 აშშ დოლარს შეადგენს. გუმისთის ხეობაში 2011-2016 წლებში მოპოვებული და გადამამუშავებული პროდუქციის ღირებულება დაახლოებით 29 მლნ აშშ დოლარს შეადგენს“.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1 კუბ/მეტრი გადამამუშავებული პროდუქციის ღირებულება 18 ლარია ანუ 7,35 აშშ დოლარი. ე.ი. აფხაზეთში ყოველწლიურად უშვებენ 2 205 000 აშშ დოლარის ღირებულების პროდუქციას.

მდინარე კოდორის ჭალიდან მოპოვებული ინერტული მასალა მუშავდება ორ ქარხანაში. ერთი მდებარეობს უშუალოდ კოდორის ჭალაში, კოდორის საავტომობილო ხიდის მიმდებარედ, მეორე კი დრანდის რკინიგზის სადგურთან, საიდანაც ხდება პროდუქციის ტრანსპორტირება.“ - აღნიშნულია გამოცემაში.

აქ განთავსებული ინფორმაციის თანახმად, კოდორის დინამიკური რაიონის აბრაზიული ნაპირის ფართობი 169 200 კუბ/მეტრს შეადგენს, ხოლო სანაპირო ხაზის წლიური გადაადგილება ხმელეთისაკენ - 1,3 მეტრს, მაშინ როდესაც ბუნებრივ პირობებში ის უნდა ყოფილიყო 0,6 მეტრი წელიწადში.

„იმისთვის, რომ აღნიშნულ სანაპირო ხაზზე პლაჟამგები ნაშალი მასალის ბიუჯეტის დაბალანსება მომხდარიყო, 1982-90 წლებში, სანაპიროს გასწვრივ 9 კმ სიგრძეზე, 10 ჰა ფართობზე, ხელოვნურად იქნა შემოტანილი 1,6 მლნ კუბ/მეტრი ინერტული მასალა.“ - აღნიშნულია კრებულში.

ზემოთ აღნიშნული ეკოლოგიური სიტუაციის გაანალიზების შედეგად კონფერენციის მონაწილე ექსპერტებმა შეიმუშავეს რიგი რეკომენდაციები და წინადადებები, სადაც ასახულია ეკოკატასტროფის თავიდან აცილების გზები.

„ჩვენი აზრით, პირველ რიგში შავი ზღვის სანაპიროს 20 კილომეტრიანი ზონის ფარგლებში უნდა შეწყდეს მდინარეებში - კოდორში, კელასურში, გუმისთასა და ბზიფში -ინერტული მასალების მოპოვება. ოკუპირებული აფხაზეთის მოსახლეობისთვის თუ ასე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინერტული მასალების მოპოვება და რუსეთის ტერიტორიაზე ექსპორტი, მაშინ უნდა მოიძებნოს ინერტული მასალების ალტერნატიული საბადოები 20 კილომეტრიანი სანაპირო ზოლის მიღმა, რაც ვფიქრობთ, სრულიად შესაძლებელია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საქართველომ ხელი მოაწერა კონვენციას შავი ზღვის დაბინძურებისგან დაცვის შესახებ (ბუქარესტი,1992) და შავი ზღვის გარემოს დაცვის მინისტრთა დეკლარაციას (ოდესა, 1993),

რომლითაც აღიარებულია ეროვნულ დონეზე შავი ზღვის ქვეყნების მიერ სანაპირო ზოლის მართვის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების აუცილებლობა, რაც მოიცავს ქმედებებს საკანონმდებლო და ეკონომიკური მიმართულებებითაც, რათა უზრუნველყოფილ იქნას გაეროს 1992 წლის რიო დე ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის მიერ მიღებული „21-ე დღის წესრიგის“ სულისკვეთება.

კონფერენციის დასკვნით დოკუმენტში ხაზი გაესვა იმ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს აფხაზეთის ეკოსისტემის დაცვისთვის, კერძოდ, დოკუმენტში მითითებულია:

„ყველა არსებული მეთოდით უნდა გაძლიერდეს მონიტორინგი სანაპიროზე მიმდინარე მორფო და ლითოლინამიკურ პროცესებზე;

აფხაზეთის ავტონომიური მთავრობის ხელშეწყობით, ჩვენი სპეციალისტების ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში გრძელდება და მომავალშიც უნდა გაგრძელდეს აფხაზეთის სანაპირო ზონის დინამიკური ქვესისტემის შესწავლა. შედეგად გამოიყოფა სანაპირო ზოლის განსაკუთრებით საშიში უბნები, სადაც პლაჟების ინტენსიური მორეცხვა და მორფოლოგიური პროფილის ცვლილებები მიმდინარეობს. შესაბამისად დაიგეგმება პრევენციული ღონისძიებები;

სააგენტოს ამოცანაა მოზიდულ იქნას საერთაშორისო სუბიექტები აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის სტრატეგიის შემუშავებაში;

საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით უზრუნველყოფილ უნდა იქნას აფხაზეთი და ქართული საზოგადოებების ჩართვა ამ პრობლემური საკითხების ერთობლივად გადაჭრის საქმეში.“ - აღნიშნულია ტექსტში.

გარდა ინერტული მასალების მოპოვებისა, აფხაზეთის უნიკალურ ბუნებას დიდ ზიანს აყენებს ხე-ტყის უკანონოდ და დაუგეგმავად გაჩეხვა, დაცული ტერიტორიების შესახებ კანონის უგულვებელყოფა. ეს პროცესი ჯერ კიდევ აფხაზეთში ე.წ. „მშვიდობისმყოფელების“ ყოფნის დროიდან დაიწყო, რომლებიც მფარველობას უწევდნენ და ხელს უწყობდნენ ადგილობრივ კრიმინალებს აფხაზეთის ბუნებრივი რესურსების გაჩანაგებასა და რეგიონის ფარგლებს გარეთ გატანაში. სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან ე.წ. „ცისფერჩაფხუტიანების“ ნებართვის გარეშე ფაქტიურად შეუძლებელი იყო ხე-ტყის გატანა. ისინი აკონტროლებდნენ როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო მარშრუტებს. ხე-ტყის უკანონო ჩეხვის ბიზნესში აქტიურად იყვნენ ჩართულები რუს „მშვიდობისმყოფელთა“ მაღალჩინოსნებიც. მათ მიერ გატანილ ხე-ტყის ნედლე მასალას არავითარი დაბრკოლება არ ექმნებოდა არც აფხაზეთის ე. წ. საბაჟოზე და არც რუსეთში.

აფხაზეთის უნიკალურ ბუნებაზე ეკო-შეტევამ ინტენსიური ხასიათი მიიღო სოჭის ოლიმპიადისათვის მზადების პერიოდში.

“სოჭის ოლიმპიადის ინფრასტრუქტურის მოსაწყობად ინერტულ მასალებთან ერთად ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიიდან ინტენსიურად გაედინება ხე-ტყის მასალა. უსისტემოდ, ყოველგვარი მოფრთხილების გარეშე იჩეხება საქართველოსა და საერთაშორისო “წითელ წიგნებში” შეტანილი იშვიათი ჯიშის ხეები, ნადგურდება და მეჩხერდება ტყის საფარველი, რაც ეკოლოგიური კატასტროფის საფრთხის წინაშე აყენებს არა მარტო უნიკალური ჯიშის მცენარეებით მდიდარ აფხაზეთის ბუნებას, მის უნიკალურ ფლორას, არამედ ფაუნასაც”. - აღნიშნავდნენ იმ პერიოდში ექსპერტები.

ბუნების დამცველები მიუთითებდნენ, რომ აფხაზეთში საგანგაშო ხასიათი მიიღო წითელ წიგნში შეტანილი, იშვიათი ჯიშის ხეების_ბიჭვინთის ფიჭვის, უთხოვარის, ქართული ნეკერჩხლის, ბზის, წაბლის, მუხის, კაკლის, თელის, ძელქვის და სხვა ძვირფასი ჯიშის ხეების მოჭრამ და აფხაზეთის ფარგლებს გარეთ გატანამ, რასაც საქართველოს ხელისუფლებისა და ექსპერტების მხრიდან საპროტესტო განცხადებები მოჰყვა. მაგრამ მიუხედავად არაერთგზის გამოხატული პროტესტისა სეპარატისტებს ოკუპანტი ძალის ხელშეწყობითა და მონაწილეობით აფხაზეთის უნიკალური ფლორისა და ფაუნის განადგურების პროცესი არ შეუწყვეტიათ. ისინი ცინიკურად უგულვებელყოფდნენ დაცული ტერიტორიების შესახებ კანონებს და საქართველოსა და საერთაშორისო “წითელ წიგნებში” შეტანილ იშვიათ სახეობებზე ძირითადად სწორედ დაცულ ტერიტორიებსა და ნაკრძალებში ნადირობდნენ. ამას მოწმობს საქართველოს ტელევიზიების მიერ 2013-2014 წლებში მოპოვებული და გავრცელებული ვიდეო და ფოტო-მასალა, რომლებიც რუსმა მონადირეებმა თავად გადაიღეს, სადაც აშკარად ჩანს, როგორ ანადგურებენ რუსი ბრაკონიერები ნაკრძალის ტერიტორიაზე მობინადრე იშვიათი ჯიშის სახეობებს. აღნიშნული ფოტო და ვიდეო მასალა საქართველოს შესაბამისმა უწყებებმა საერთაშორისო ორგანიზაციებს გადაუგზავნეს.

ცალკე თემაა რუსული კომპანია “როსნეფტის” მიერ შავი ზღვის აფხაზეთის მონაკვეთზე ნავთობსაძიებო სამუშაოების დაწყების საკითხი, რამაც შეიძლება ოკუპირებული აფხაზეთის ეკოსისტემას გამოუსწორებელი დარტყმა მიაყენოს. 2009 წლის 24 დეკემბერს რუსულ კომპანია “როსნეფტსა” და აფხაზეთის კოლაბორაციონისტულ მთავრობას შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც რუსულ კომპანიას გეოლოგიური-დაზვერვითი სამუშაოების ჩატარებისა და შემდგომში ნავთობის მოპოვების უფლება ეძლეოდა საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის მონაკვეთში, შავი ზღვის შეღებზე. აღნიშნული შეთანხმების თანახმად, სამუშაოების ჩატარება დაიგეგმა აფხაზეთის სანაპიროდან 11-12 კილომეტრში, ტუაფსედან 37 კილომეტრში, 800 მეტრის სიღრმეზე. გასაწმენდი მოწყობილობებისათვის აფხაზურ ბიუჯეტში ჩადებული იქნა 780 მილიონი რუბლი, რაც უკვე იმას მოწმობდა, რომ თავიდანვე იყო გათვლილი ეკოლოგიური დაზიანებების საფრთხე.

შეთანხმებაზე ხელმოწერის პარალელურად ოკუპირებული აფხაზეთის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ეკოლოგიურ-დაზვერვით სამუშაოებს “როსნეფტი” 3,9 კვადრატული კილომეტრის ფართობზე ჩაატარებს. ამისთვის რუსული კომპანია აპირებს 15 მილიარდი რუბლის ინვესტიციის გათვალისწინებას, თუმცა არა აფხაზურ ბიუჯეტში, არამედ მის მიერ მონვეული სპეციალისტების ანაზღაურებისა და სხვა ტექნიკური საჭიროებისათვის.

საქართველოს ხელისუფლებამ დაუყოვნებლივ გააპროტესტა “როსნეფტსა” და “აფხაზტოპს” შორის დადებული გარიგება და აღნიშნა, რომ რუსეთი არღვევს საერთაშორისო სამართალს და განაგრძობს საქართველოს ფაქტიურ ანექსიას. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2009 წლის 25 დეკემბრის განცხადებაში ხაზგასმულია, რომ “რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილება, აწარმოოს დაზვერვითი და საძიებო სამუშაოები საქართველოს საზღვაო აკვატორიაში ნავთობისა და გაზის საბადოების მოძიებისა და განვითარების მიზნით, ღიად და უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებსა და კანონმდებლობას, კერძოდ კი “საზღვაო სამართლის შესახებ” გაეროს 1982 წლის კონვენციას, ამასთან, საქართველოს კანონს “ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ” და საქართველოს კანონს “ნავთობისა და გაზის შესახებ”.

2009 წლის 24 დეკემბერს გაფორმებულ ხელშეკრულებას მწვავე შეფასებები მოჰყვა საქართველოს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოშიც. სადაც აღნიშნეს, რომ კრემლი მსგავსი ნაბიჯებით “საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ეთნიკური წმენდის დაკანონებას ცდილობს”.

ზოგიერთი ქართველი ექსპერტის მოსაზრებით, აფხაზეთში „როსნეფტის“ შესვლის ყველაზე გახმაურებული საბაბი გახდა საქართველოს ტერიტორიული წყლების აფხაზეთის აკვატორიაში არსებული ნავთობის მარაგის მოპოვება, მაგრამ ეს იმთავითვე ავანტიურა იყო, რადგანაც „როსნეფტის“ მიზანს წარმოადგენს არა ნავთობის ძიება და მოპოვება, არამედ თავისი ბენზინგასამართი სადგურების ქსელის განვითარება ამ რეგიონში, საიდანაც მას შეუძლია რეალური მოგება მიიღოს.

ექსპერტები ხშირად სვამენ კითხვას. სინამდვილეში არსებობს თუ არა შავ ზღვაში ნავთობის მარაგები. სპეციალიტების თქმით, „საბჭოთა პერიოდში შავი ზღვის ფსკერზე მართლაც ხორციელდებოდა ნავთობსაძიებო სამუშაოები. თუმცა მათი შესწავლა მხოლოდ ზედაპირულად მოხდა. მეცნიერები მხოლოდ ვარაუდობდნენ ნავთობის არსებობას, მაგრამ ამასთან დაკავშირებით რამე დამადასტურებელი საბუთი მოპოვებული ვერ იქნა. აფხაზეთის აკვატორიის სიღრმის შესწავლისას აღმოაჩინეს გარკვეული ადგილები, რომელთაც ქვაბულის ფორმები გააჩნიათ და სადაც, სავარაუდოდ, ნავთობი შეიძლება იყოს. მათ ვარაუდებს ამყარებს ნავთობის გარკვეული მოცულობების არსებობა ტუატესესა და ფოთის აკვატორიაში“.

იმ პერიოდში აფხაზეთის ერთი ნაწილი იმედოვნებდა, რომ ნავთობის მარაგის აღმოჩენა მათ “ქვეყანას” პატარა კუვეიტად გადააქცევდა, მეორე ნაწილი კი ნავთობის მოძიებისადმი პესიმისტურად იყო განწყობილი და თვლიდა, რომ ნავთობსაძიებო სამუშაოების წარმოება და შავი ზღვის სანაპიროს გადათხრა მათ მხარეში ეკოლოგიურ ბალანსს შეარყევდა და აფხაზეთს ტურისტებისთვის არამომზიდველს გახდიდა. აფხაზეთში ნავთობსაძიებო სამუშაოების დაწყების თემაზე გამოკითხვებიც ჩატარდა, სადაც აფხაზური საზოგადოების უმრავლესობა ამ საქმიანობის დაწყების წინააღმდეგ გამოვიდა. იმ პერიოდში ნავთობის მოპოვების აკრძალვას მოითხოვდა ოპოზიციაც, ასევე, საპროტესტო განცხადებებს აკეთებდნენ აფხაზი ეკოლოგებიც, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ შავი ზღვის აფხაზეთის შელფზე ნავთობის მოპოვების დაწყება სერიოზულად დააზიანებდა ადგილობრივ ეკო-სისტემას.

შავ ზღვაში ნავთობის მოძიებისა და მოპოვების წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდნენ ქართველი გარემოსდამცველები, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ შავ ზღვას ნავთობსაძიებო სამუშაოების დაწყება სამომავლოდ კარგს არათერს უქადის. არასამთავრობო ორგანიზაცია “მწვანე ალტერნატივის” ხელმძღვანელის მანანა ქოჩლაძის თქმით, შავ ზღვაზე რეალურად საგანგაშო ეკოლოგიური მდგომარეობაა. „თუ აქ მართლაც დაიწყო ნავთობის სამრეწველო მოპოვება, ამას ძალიან დიდი ზეგავლენა ექნება შავ ზღვაზე, რადგანაც აქ ყველაზე დიდი პრობლემა არის ნავთობის არა დიდი ჩაღვრები, არამედ ეგრეთ წოდებული ყოველდღიური ჩაღვრები. შავი ზღვის ფსკერზე ბურღვა, ან იქ ნავთობსადენის აშენება საშიშია იმის გამოც, რომ შავ ზღვაში ჭარბად არის გოგირდწყალბადის გაზი, რომელიც ძალიან აგრესიულ გაზად ითვლება. ის მომწამლაავია და მეტალის სწრაფ კოროზიას იწვევს“. -აღნიშნავდა ეკოლოგი.

მისი თქმით შავი ზღვისთვის დიდი ხანია ძალიან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ნავთობის გადამტანი ტანკერების მოძრაობა, რასაც თან სდევს ზღვაში ნავთობის ჩალვრა. ასევე, ნავთობით ზღვის დაბინძურების საშიშროება ახლავს შელფზე ნავთობის მოპოვების დანწყებასაც.

„არსებობს კიდევ საბურღი ხსნარების პრობლემა, რომლითაც ფსკერზე ბურღვას ახორციელებენ. ეს საბურღი ხსნარები ძალიან ტოქსიკურია და შედეგად ზღვის ბიომრავალფეროვნებას სრულიად სპობს. ესეც ერთ-ერთი რთული პრობლემაა.

ამერიკის ეკოლოგიის სააგენტომ დაადგინა, რომ ეს ჩალვრები საერთოდ არ უნდა ხდებოდეს. მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს რეგიონში მოქმედი სტანდარტებით ეს ჩალვრები დაშვებულია. ერთი მომენტი, საბურღი ხსნარების პრობლემა, მეორე მომენტი კი ის, რომ როცა ნავთობი ამოაქვთ, ის ამოაქვთ წყალთან ერთად. ამ დროს ნავთობს თანმდევი წყალი მოჰყვება. ძალიან ხშირად ამ თანმდევი წყლების ზღვაში გადაღვრა ხდება, რაც ასევე ყოველად დაუშვებელი პრაქტიკაა. უნდა მოხდეს ამ წყლის უკან, გეოლოგიურ ფორმაციაში ჩაბრუნება, რასაც რეინჯექციას უწოდებენ. მაგრამ ეს რეინჯექცია საკმაოდ ძვირი პროცესია. ამიტომ რასაკვირველია ამას ყველა კომპანია არც აკეთებს. ასე რომ, ეს არის ის ორი განსაკუთრებული მომენტი, რომლის დროსაც ზღვის ბიომრავალფეროვნება უაღრესად ზარალდება.“ - აღნიშნავდა მ. ქოჩლაძე.

„შწვანე ალტერნატივის“ ბიომრავალფეროვნების პროგრამების კოორდინატორი ირაკლი მაჭარაშვილი, ასევე, მიუთითებდა, რომ „ბოლო ათწლეულების განმავლობაში შავი ზღვის ბიომრავალფეროვნება ამკარად შემცირებულია. ეს უკავშირდება როგორც შავი ზღვის მზარდ დაბინძურებას, ასევე, უცხო სახეობების გავრცელებას და ჭარბ მოპოვებას. მისი თქმით, რამდენიმე ათეული სარეწაო სახეობა ბოლო ათწლეულების განმავლობაში შავ ზღვაში უბრალოდ გადაშენდა.

„შავ ზღვაში ბინადრობს ვეშაპისნაირთა რამდენიმე სახეობა, რომლებიც შეტანილნი არიან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების წითელ ნუსხაში. ეს, უპირველეს ყოვლისა, შეეხება მცირე ვეშაპისებრთა სახეობებს. მაგალითად ისეთს, როგორიცაა შავი ზღვის აფალინა, ანუ შავი ზღვის დელფინი, ზღვის ღორი, რომელიც დელფინების ერთ ერთ ქვეჯგუფს განეკუთვნება, ასევე, თეთრგვერდა დელფინი და სხვ. რომელთა მდგომარეობა შემდგომ შესწავლას საჭიროებს.

შავ ზღვაში განსაკუთრებული ხიფათის წინაშე არიან ზუთხისებრთა სახეობები. აქ გავრცელებულია ზუთხისებრთა თევზების ექვსი სახეობა, რომლებიც დღეს საკმაოდ მძიმე და კრიტიკულ სიტუაციაში არიან. მათ შორის ითვლება, რომ ატლანტური ზუთხი დღეისათვის მსოფლიოში მხოლოდ შავი ზღვის სანაპიროებზე შემორჩენილი ბოლო პოპულაციაა“. - აღნიშნავდა ეკოლოგი.

გავრცელებული ინფორმაციით, ნავთობს აფხაზეთში საბჭოთა პერიოდიდან ეძებენ. გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან სოხუმსა და გაგრას შორის, ზღვის შელფის 22 მონაკვეთი იქნა დაზვერილი, თუმცა ერთის მხრივ, მოპოვების არარენტაბელურობის, მეორე მხრივ კი ეკოლოგიური მოსაზრებებით, ეს სამუშაოები შეჩერდა. დღეისათვის, შავი ზღვის აფხაზეთის შელფზე, ნავთობის პოვნის ალბათობა 14 პროცენტით არის შეფასებული.

სხვადასხვა ექსპერტული გათვლებით, შესაძლებელია, შავ ზღვაში ხუთ მილიარდამდე ბარელი ნავთობი არსებობდეს, თუმცა ტექნოლოგიურად შავი ზღვის შელფზე მუშაობა იმდენად რთული და ძვირადღირებულია, რომ ჯერჯერობით ბურღვის ეტაპამდე შავი ზღვის აუზის არც

ერთი ქვეყანა არ მისულა. თურქეთი, უკრაინა და რუსეთი მხოლოდ დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებენ.

შემდგომ წლებში ოკუპირებული აფხაზეთის შელფზე ნავთობის აღმოჩენისა და მოპოვების საქმე გაიყინა. აფხაზეთის ე.წ. პარლამენტმა საკითხი ეკოლოგიური რისკებისა და საზოგადოებაში ატეხილი ხმაურის გამო ჩააგდო და რუსული და აფხაზური მხარეების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება რამდენიმე წლით შეჩერდა.

ბოლო ხანებში ისევ აქტუალური გახდა „როსნეფტის“ მიერ შავი ზღვის აფხაზეთის შელფზე ნავთობის მოძიებისა და მოპოვების თემა რუსეთისა და აფხაზეთში მისი პოლიტიკისა და ინტერესების გამზიარებელი ჯგუფების მონაწილეობითა და მხარდაჭერით.

როგორც სააგენტო „აქცენტი“ აღნიშნავს, ოკუპირებულ აფხაზეთში ბოლო პერიოდში ნავთობის მოპოვების თემის ირგვლივ ვნებათაღელვა განახლდა. ამის მიზეზად ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების მხრიდან ორი ნავთობკომპანიისთვის – „როსნეფტისა“ და „აფსნი ოილისთვის“ ნავთობის საძიებო სამუშაოების წარმოების ლიცენზიის გახანგრძლივება იქცა.

„პირველთან ხელშეკრულება 2009 წელს დაიდო, მეორესთან – 2014 წელს.

აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილი, მათ შორის ეკოლოგები და ოპოზიციონერი პოლიტიკოსები ირწმუნებიან, რომ დადებული ხელშეკრულებები "ყაჩაღურია, დრაკონული და აფხაზეთის ინტერესებს ეწინააღმდეგება".

ამასთან, მათი აზრით, „აფსნი ოილი“ რეალურად იგივე „როსნეფტია“ და მოქმედი აფხაზი ჩინოსნები ამ მორიგი "აფერი" დიდ ფულს შოულობენ.

როგორც ოპოზიციონერი აქტივისტები მიუთითებენ, ე.წ. ეკონომიკის სამინისტროსა და „აფსნი ოილს“ შორის შეთანხმება 2014 წელს, სულ ცოტა ხნით ადრე დაიდო მანამ, სანამ იმდროინდელი ე.წ. მმართველი გუნდი შეიცვლებოდა. გარდა ამისა, მათი შეფასებით, აფხაზურმა ე.წ. პარლამენტმა საინვესტიციო საქმიანობის შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ნავთობკომპანიებს გადასახადებისგან ათავისუფლებდა, სწორედ „აფსნი ოილის“ ინტერესებს მიუსადაგა.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. ეკონომიკის ექს-მინისტრი დავით ირადიანი, რომელიც 2014 წლის შეთანხმებას აწერს ხელს, 5 წლის შემდეგაც არ ასახელებს კომპანიის დამფუძნებლების ვინაობას და ნავთობის მოპოვებაზე მორატორიუმის გამოცხადების ინიციატორებს უმაღლეს დე ფაქტო ხელმძღვანელობასთან ამისამართებს“. - აღნიშნავს სააგენტო. (Accent, 11.02.19)

2019 წლის 19 თებერვალს აფხაზეთის ე.წ. პარლამენტში აგრარული პოლიტიკის, ბუნებრივი რესურსებისა და ეკოლოგიის „სახელმწიფო“ კომიტეტის გაფართოებული სხდომა გაიმართა, რომელიც „აფსნი ოილისათვის“ შავი ზღვის აფხაზეთის შელფზე ნავთობის საძიებო სამუშაოებისა და მისი მოპოვების უფლებების მიცემას მიეძღვნა.

სხდომის გახსნისას ე.წ. კომიტეტის თავმჯდომარემ ასტამურ თარბამ აღნიშნა, რომ ადრე უკვე ჩატარდა კომიტეტის სხდომა ამ თემაზე და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გამოთხოვილ იქნას შესაბამისი მასალები დეტალური შესწავლისათვის. „მაგრამ გამოჩნდა სხვა საკითხებიც, რომლებზეც პასუხები წარმოდგენილ მასალებში არაა. ამასთან დაკავშირებით დღეს ჩვენ მოვიწვევთ კომპეტენტური პირები თემის განხილვისთვის“, - განმარტა თარბამ.

თავის მხრივ ე.წ. პრემიერ-მინისტრმა ვალერი ბგანბამ აღნიშნა: “მთავრობამ უნდა შეასრულოს ის შეთანხმებები, რომელიც სახელმწიფომ გააფორმა. არსებობს ეკოლოგიის სამსახურები, რომლებიც დაკავდებიან ამ კომპანიების მონიტორინგით“.

ე.წ. გეოლოგიის, გეოდეზიის, კარტოგრაფიისა და მინათსარგებლობის სახელმწიფო სამმართველოს უფროსმა ადამურ ახუბამ აღნიშნა, რომ დღეისათვის არ შეიძლება ლაპარაკი ნავთობის რაღაც მოცულობის არსებობის შესახებ. „ახლა საუბარი მიდის დაზვერვით სამუშაოებზე, ამის შემდეგ განსაზღვრული იქნება მოცულობები. უნდა აღინიშნოს რომ დაზვერვა მიმდინარეობს რუსული კომპანიის საკუთარი სახსრებით“, - აღნიშნა ახუბამ.

აფხაზეთის ე.წ. ეკონომიკის მინისტრმა ადგურ არძინბამ ხაზი გაუსვა, რომ მთავარი საკითხია თუ რას მიიღებს აფხაზეთის ბიუჯეტი 1 ბარელი ნავთობიდან, თუკი ის აღმოჩენილი იქნება.

„თუ ჩვენ ვლაპარაკობთ აფხაზეთის კონკრეტულ წილზე 1 ბარელი ნავთობიდან, ეს უნდა იქნას განხილული კომისიის ფარგლებში. შეთანხმება პროდუქციის გაყოფაზე - ეს ყოველსმომცველი დოკუმენტია, რომელიც საერთაშორისო აქტს წარმოადგენს. მოცემული მომენტისთვის ჩვენ შეგვიძლია დავაცნოთ ჩვენი პირობები. ჩვენ ჯერ არაფერი არ დაგვიკარგავს. უნდა შეიქმნას კომისია, რომელსაც მივანოდებთ ჩვენს მიერ დამუშავებულ საკითხებს.“ - აღნიშნა არძინბამ.

სხდომის შედეგად შეთავაზებულ იქნა სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც განიხილავს ნავთობის მოძიებისა და მოპოვების სამუშაოებთან დაკავშირებით ნებართვის გაცემას.

ამავე სხდომაზე ე.წ. დეპუტატმა ასლან ჯაპუამ ე.წ. აფხაზეთის ექსპლემძღვანელები ალექსანდრე ანქვაბი და ლეონიდ ლაკერბაია „როსნეფტთან“ კორუფციულ გარიგებაში დაადანაშაულა და აღნიშნა, რომ ეს ადამიანები ნებისმიერ შეთანხმებას მოაწერენ ხელს თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ.

სხდომის პარალელურად ე.წ. პარლამენტის შენობასთან მოქალაქეები აქციას მართავდნენ სახელწოდებით „არა კორუფციას!“ რომელიც ერთგვარად ეხმაურებოდა დეპუტატ აღმას ჯაპუას მიერ დაყენებულ საკითხს.

აღსანიშნავია, რომ ე.წ. პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე დეპუტატთა უმრავლესობა რუსული კომპანიის მიერ ნავთობის მოძიებისა და მოპოვების საკითხს დაეთანხმა, მხოლოდ უმცირესობამ გამოხატა პროტესტი და უკმაყოფილება.

აფხაზური საზოგადოება უნდობლად უყურებს რუსული კომპანიის მიერ აფხაზეთში ნავთობის საძიებო და მოპოვების სამუშაოების წარმოებას, რადგან მიიჩნევენ, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ ნავთობი იქნება აღმოჩენილი, ეს ხალხს არაფერს არ მოუტანს და თანხები რომლებიც იქიდან შემოვა, მხოლოდ ცალკეული ჩინოვნიკების ჯიბეებში „დაილექება“. ნავთობის მოპოვებისგან კი იზარალებს აფხაზეთის უნიკალური ბუნება, განადგურდება ეკო სისტემა, საბოლოოდ გადაშენდებიან ისედაც გადაშენების პირას მყოფი და წითელ წიგნში შეტანილი იშვიათი სახეობის წყლის ბინადრები, ფლორა და ფაუნა.

საზოგადოების პროტესტი და ეჭვები აირეკლა ამ თემასთან დაკავშირებით ინტერნეტ-მომხმარებლების მიერ სოციალურ ქსელში გაკეთებულ კომენტარებში, რომელიც ქვემოთ მოგვყავს:

"ეს არის პროექტი, რომელსაც ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი ახლავს თან, თუნდაც იმიტომ, რომ ხელის გულზე გვიდევს არაერთი საკურორტო სეზონის ჩავარდნის მაგალითი. მიუხედავად

იმისა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში ლამის ყველაზე უკეთესი ზღვა, პლაჟი, მთა, ჰაერი და სხვა ბუნებრივი პირობები გვაქვს, ეს სფერო მაინც ვერ განვითარდა, რადგან სახელმწიფო ინსტიტუტები ვერ მუშაობენ" - ირაკლი სალია.

"ყველგან კორუფციაა: გზებზე ამდენი ადამიანი იხოცება და მაინც ქრთამით გასცემენ მართვის მოწმობას, საგზაო წესებს არაფერს იცავენ და "გაი" ფულს იღებს; ნარკორეალიზატორებს იჭერენ, ფულს ართმევენ და შემდეგ ისევ ქუჩაში უშვებენ - ამის მერე როგორ მჯეროდეს, რომ ნავთობის მოპოვება სამართლიანად, მოწესრიგებულად მოხდება და სირიას არ დავემსგავსებით?! მგონი, ისე გადაბურღავენ აქაურობას, ის რამდენიმე ათასი რუსიც აღარ მოისურვებს აქ დასასვენებლად ჩამოსვლას" - წერს მერი სადიოლლი.

"საქმე ის არის, რომ ჩვენ ერთიანი აზრი არასდროს გვაქვს - სოციალურ სივრცეში ყველა აპროტესტებდა ამ პროექტს, მაგრამ აქციაზე რამდენიმე ადამიანი და მილიციის ათამდე თანამშრომელი მივიდა. ეს კარგად იციან დაინტერესებულმა მხარეებმა და შესანიშნავადაც იყენებენ. დიას, ასეთი სახის პროექტი სარისკოა ნებისმიერი ხელისუფლებისთვის, თუმცა, არა იმდენად, რომ მისი ჩავარდნის ან ჩარევისგან გამონვეული პრობლემის შემთხვევაში მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებლობას გრძნობდეს" - წერს ვალენტინ ვოლკოგონივი.

"ასეთ საკითხებს წესით რეფერენდუმით უნდა წყვეტდნენ. ეს არის ქვეყანა, სადაც ავადმყოფი ცუდად გახდომის შემთხვევაში აქაურ ექიმთან არ მიდის, რადგან არ ენდობა - სამკურნალოდ მეგობრების რჩევას ითვალისწინებს ან ქვეყნიდან მიდის და ვინმეს წარმოუდგენია, რომ აქ ნავთობს მოიპოვებენ და ამით ეკონომიკას უშველიან?" - წერს ერთ-ერთი ადგილობრივი.

საზოგადოებრივი აქტივისტი ალხას თხაგუშევი აცხადებს, რომ ნავთობის მოპოვების მსოფლიო გამოცდილებიდან გამომდინარე, ეკოლოგიური უსაფრთხოების ასპროცენტიანი გარანტია არ არსებობს. „პატარა აფხაზეთის კურორტების ნავთობის კომპურებთან დაკავშირება – ძალიან სახიფათოა. დიდ ქვეყნებს ნავთობის დაღვრის შემთხვევაში შეუძლიათ, საკუთარ თავს უფლება მისცენ, თავიანთი ტერიტორიის ნაწილი დააკონსერვონ. ჩვენ რას ვიზამთ, რამე რომ მოხდეს? ამ კითხვაზე ძალიან სერიოზულად უნდა დაფიქრდეთ, შვეისწავლოთ სიტუაცია და მხოლოდ ამის შემდეგ განვიხილოთ შესაძლო მოპოვების საკითხი“, – განაცხადა მან მედიაკლუბ „Apsny Today“-სთან ინტერვიუში.

ალხას თხაგუშევი, ასევე, ამბობს, რომ ის ნავთობის მოპოვების წინააღმდეგია „მათ შორის, სახელმწიფო აპარატის არაეფექტური მუშაობის გამო“.

„ჩვენ ბევრ სფეროში სისტემური კრიზისი გვაქვს. ახლა ჩვენთვის ახალი სფეროს განხილვას ვიწყებთ – და რატომღაც ვთვლით, რომ აი, აქ მოხდება რაღაც სასწაული. და რომ აქ აღარ გვექნება კორუფცია, აღარ გვექნება არაეფექტური მმართველობა და შესანიშნავ შედეგებს მივაღწევთ“, – ამბობს თხაგუშევი. (jamnews.net, 04.02.19)

ზემოთმოყვანილი სტრიქონებიდან აშკარაა, რომ აფხაზური საზოგადოების დიდი ნაწილი ეწინააღმდეგება აფხაზეთის ტერიტორიაზე ნავთობის მოძიებისა და მოპოვების დაწყებას. თუმცა სეპარატისტულ ხელისუფლებას არაფრად მიაჩნია ხალხის აზრი და ცდილობს ოკუპირებული ტერიტორია საკუთარი კეთილდღეობისათვის კიდევ ერთი სახიფათო რისკის ქვეშ მოაქციოს .

აფხაზეთში შეიარაღებული კონფლიქტის დასრულების შემდეგ პერიოდულად ვრცელდება ინფორმაცია უკონტროლო ტერიტორიიდან რადიოაქტიური ნივთიერებების გადინების შესახებ. როგორც ამ რამდენიმე წლის წინ „რადიო თავისუფლების“ ეთერში გაჟღერდა, ამ მხრივ

პოტენციური საფრთხის წყაროდ სახელდება სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც 1945 წელს შეიქმნა. „იგი ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ გასაიდუმლოებულ ობიექტს წარმოადგენდა და არასტაბილურ იზოტოპებს ამზადებდა. როგორც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილემ მერაბ ბოკუჩავამ რამდენიმე წლის წინ განაცხადა, მასში საბჭოთა ატომური ბომბის შექმნაზე მსოფლიო მასშტაბის გერმანელი ფიზიკოსები, ნობელის პრემიის ლაურეატი გუსტავ ჰერცი და პროფესორი მანფრედ ფონ არდენე მუშაობდნენ“. (რადიო თავისუფლება, 08.09.2005)

მერაბ ბოკუჩავა: “ინსტიტუტი 1945 წელს ჩამოყალიბდა. თავის დროზე აქ მუშაობდნენ პირველი ატომური ბომბის შექმნაზე, კერძოდ, ურანის იზოტოპების განცალკავების საკითხზე. ასევე აქტუალური იყო ურან-235-ის სამრეწველო გზით მიღების ტექნოლოგიის დახვეწა.”

გერმანელმა ფიზიკოსებმა დასახულ ამოცანას თავი წარმატებით გაართვეს. მეტიც, მათი ხელმძღვანელობით შეიქმნა მსოფლიოში პირველი მასპექტრომეტრი. თუმცა ამ მოვლენებიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა. დღეის მდგომარეობით ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ინსტიტუტი მხოლოდ ფორმალურად ფუნქციონირებს. ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტთა ჯგუფი კი ინსტიტუტის ლაბორატორიებში არსებული რადიოაქტიური გამოსხივების წყაროების შენახვისა და დაცვის პირობებით არის შეშფოთებული, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსის იოსებ კაკუშაძის თქმით, რადიოაქტიური ნივთიერებები ინსტიტუტის ტერიტორიაზე სახელდახელოდ მოწყობილ ბუნკერშია განთავსებული.

“ბეტონის ბუნკერს კარი ერთი მხრიდან ჰქონდა მხოლოდ, დანარჩენი მხრიდან მიწის საფარი იყო დაცული. კარის წინაპ დანყობილი იყო ბეტონის ფილები, რათა მისადგომად ძნელი ყოფილიყო. ჩვენ როცა გახსნა დაგვჭირდა აღწერისათვის, დაახლოებით ერთი დღე მუშაობდა ამწე.” - ამბობს იოსებ კაკუშაძე,

სოხუმის დაცვამდე ორი თვით ადრე ინსტიტუტის რადიაციული უსაფრთხოების სამსახურმა სრულად აღწერა ყველა ის რადიოაქტიური მასალა და ნარჩენები, რომელიც ამ დროისათვის არსებობდა ლაბორატორიებსა და აგუძერის და სინოპის საცავებში. 1993 წლის 21 ივნისით დათარიღებული დოკუმენტის მიხედვით, ინსტიტუტის განკარგულებაში იყო 244 დასახელების რადიოაქტიური მასალა, მათ შორის - გამდიდრებული ურანი. (რადიო თავისუფლება, 22.06.05)

სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის გურამ ბოკუჩავას თქმით, მასალების სრული ჩამონათვალი და აღწერილობა სოხუმში ინახება. „აგუძერის სპეციალურ სანყოფნაში ინახებოდა 90-96 პროცენტამდე გამდიდრებული „ურან-235“-ს ტაბლეტები, დაახლოებით 655 გრამის ოდენობით. სხვა ლაბორატორიებსა და საცავებში მეტი ურანი არ იყო დაფიქსირებული”.

9 წლის შემდეგ ინსტიტუტი ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ექსპერტებმა შეამოწმეს. პროფესორ გურამ ბოკუჩავას თქმით, სააგენტოსათვის საინტერესო 250 ნივთიერებიდან, დაკარგულია ყველაზე მნიშვნელოვანი - გამდიდრებული ურანის აბები: „ნივთიერებებს შორის იყო 655 გრამი გამდიდრებული ურანი, აბების სახით. საყურადღებოა ის, რომ 2002 წელს აფხაზეთში ჩასული იყვნენ „მაგატეს“ წარმომადგენლები. მათ აღწერაში ყველა ნივთიერება მოხვდა, გარდა ამ გამდიდრებული ურანის აბებისა“.

ამ ფაქტების გათვალისწინებით, საოცარი არაფერია იმაში, რომ წინა წლებში სხვადასხვა წყაროები ადასტურებენ აფხაზეთში რადიაციული ნარჩენების არსებობის ფაქტებს. მეტიც, პეტერბურგელ მეცნიერთა ჯგუფმა აფხაზეთში ჩატარებული რადიაციული გამოკვლევების მასალებზე დაყრდნობით, გაავრცელა ინფორმაცია, რომ გუდაუთა ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ყველაზე დაბინძურებული ადგილია და რადიაციული დაბინძურების დონით მხოლოდ ჩერნობილს ჩამოუვარდება. ინფორმაციის სიმწირის გამო, ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი მეცნიერები კომენტარს არ აკეთებენ. თუმცა ის ფაქტი, რომ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს აფხაზეთის ტერიტორიაზე რადიოაქტიურ ნივთიერებათა სამარხის მშენებლობას, უდავოდ პრობლემის სიმწვავეზე მიანიშნებს. მოგვიანებით გაჩნდა ვერსიები იმის თაობაზე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებული ბირთვული მასალები, შესაძლოა, საერთაშორისო ტერორისტთა განკარგულებაში აღმოჩნდეს და, რომ 2002 წლის მაისში სოხუმში მოიპარეს ცეზიუმი, რომლის მოძებნაში აფხაზურ მხარეს რუსი სპეციალისტები ეხმარებოდნენ. 2004 წელს ბრიტანული პრესა იუნცებოდა, რომ აფხაზეთში უკვალოდ გაქრა 2 კილოგრამი ურანი, შემდგომში კი სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების მიერ დასახელებულმა რაოდენობამ ხუთ კილოგრამს გადააჭარბა. როგორც გურამ ბოკუჩავა აღნიშნავდა, სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში დაცული ურანის რაოდენობა ერთ კილოგრამსაც ვერ აღწევდა და საეჭვოა, რომ ეს მოცულობა მოგვიანებით გაზრდილიყო: “93 წლის 27 სექტემბრის ჩათვლით, სანამ ჩვენ იქ ვიყავით, ასეთი რაოდენობის გამდიდრებული ურანი ინსტიტუტში არ ყოფილა. რასაკვირველია, თუ მას ვინმე არ შეიტანდა იქ. შეტანა კი რუსეთის მხრიდან უნდა მომხდარიყო.” თუმცა მეცნიერი ამაში ვერავითარ ლოგიკას ვერ ხედავს. {რადიო თავისუფლება, 22.06.2005}.

ბირთვული მასალების დაკარგვას უარყოფს აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის მიერ სოხუმის ე.წ. ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნული ანატოლი მარხოლია, რომელიც აცხადებს, რომ არსებული ნივთიერებები სათანადოდაა დაცული. ურანის დაკარგვასთან დაკავშირებულ ინფორმაციას სოხუმში მიზანმიმართულად გავრცელებულ ჭორად აღიქვამენ, რომლის მიზანიც ტურისტების დაშინებაა. გარდა ურანისა, აღსანიშნავია, რომ საინფორმაციო წყაროები ავრცელებენ ინფორმაციას პლუტონიუმის შესახებაც. როგორც ისინი აცხადებენ, ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე დაახლოებით 9 კილოგრამი პლუტონიუმი არის დაკარგული, რაც ზოგიერთი ექსპერტის მოსაზრებით საფუძველს მოკლებულია.

2006 წელს მწვანეთა პარტიის ლიდერი გიორგი გაჩეჩილაძე ვარაუდობდა, რომ რადიოაქტიური ნივთიერება პოლინიუმ 210 თვითგამოცხადებული აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებულ ფიზიკის ინსტიტუტში და ასევე გუდაუთის რუსული სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე ინახება. იგი ასევე არ გამორიცხავდა, რომ სწორედ აფხაზეთიდან მოხდა ამ ნივთიერების გატანა დიდ ბრიტანეთში, სადაც ამ რადიოაქტიური ნივთიერებით ყოფილი რუსი აგენტი ლიტვინენკო მონამლეს.

“ჩვენ გვაქვს ყველა მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ ნამდვილად არსებობს ასეთი ნივთიერება აფხაზეთის ტერიტორიაზე და უფრო მეტიც, არსებობს სხვა, გაცილებით უფრო ძლიერი ტოქსიკური ნივთიერებები, რომლებიც ასევე ძალიან საშიშია. მოვითხოვთ, რომ შესაბამისმა სამსახურებმა განიხილონ აფხაზეთის ტერიტორიაზე პოლინიუმ 210-ის არსებობა,

როგორც ლონდონში მომხდარი მკვლევლობის ერთ-ერთი სავარაუდო წყარო“- განაცხადა გიორგი გაჩეჩილაძემ. (“სივილ ჯორჯია”, 7.12.06).

ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს მონაცემებით, 1993 წლიდან მოყოლებული, დადგენილია რუსეთიდან გამდიდრებული ურანისა და პლუტონიუმის კონტრაბანდის 18 ფაქტი.

„ექსპერტების მიერ საქართველოში დაფიქსირებულია რუსეთის საჯარისო ფორმირებების მიერ თავიანთი ბაზირების ადგილებში რადიოაქტიური მასალების დატოვების 197 შემთხვევა.

კონტრაბანდისტებმა ურანის პირველი პარტია ოკუპირებული აფხაზეთიდან იმ პერიოდში გაიტანეს, როცა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ლაბორატორიიდან ორი კილოგრამი აღნიშნული ნივთიერება გაქრა. საქართველოს სპეცსამსახურების მონაცემებით, ინსტიტუტის სამარხში ინახებოდა 258-მდე სახეობის რადიოაქტიური ნივთიერება გამდიდრებული ურანის ჩათვლით. სხვადასხვა წყაროები აღნიშნავენ, რომ მოგვიანებით კონტრაბანდისტები პოლონეთში დააკავეს. ის პირები, რომლებსაც კონტრაბანდული ურანი გადაჰქონდათ, რამდენიმე წლის წინათ ბელორუსშიც დააპატიმრეს. ქართულმა სპეცსამსახურებმა 2005 წელს კონტრაბანდისტებისაგან ამოიღეს გამდიდრებული ურანის კიდევ ერთი პარტია, რომელიც რუსეთიდან ახლო აღმოსავლეთის შავ ბაზარზე სარეალიზაციოდ გადაჰქონდათ. (ექსპერტთა კლუბი, 11.05.10)

საქართველოში ბირთვული უსაფრთხოების საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი მსოფლიო ტერორიზმის შესახებ აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2010 წლის ანგარიშში, სადაც ნათქვამია:

“აშშ-ს მთავრობამ დაათინანსა პროგრამები, რომლებიც ფოკუსირებული იყო საქართველოს საზღვარზე დამნაშავეების იდენტიფიცირებაზე, გამოძიებასა და დაკავებაზე, ბირთვული ან რადიოაქტიური მასალების, მაღალი რისკის შემცველი ტრანსპორტის, კონტრაბანდის აღმოჩენაზე“.

დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ 2009 წლის დეკემბრის დასაწყისში საქართველოს პოლიციამ დააკავა თბილისში ტერაქტების სერიაში ეჭვმიტანილები, ასევე ბრალი დაედო აფხაზეთში მცხოვრებ ორ პირს და რუს სამხედრო ოფიცერს.

„რუსეთის ხელისუფლებას ეთხოვა ამ პირების დაკითხვასა და დაკავებაში დახმარება. ნოემბრის თვეში სომხური წარმომობის ორ მოქალაქეს 13 და 14 წლიანი პატიმრობა მიესაჯათ საქართველოში 18 გრამი გამდიდრებული ურანის კონტრაბანდისათვის“-ნათქვამია სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.(ახალი ამბების სააგენტო; (mfa.gov.ge, 18.08.2011)

აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენლები და ექსპერტები არ უარყოფენ, რომ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორია დაბინძურებულია რადიოაქტიური ნივთიერებებით, რაც საფრთხეს უქმნის როგორც რეგიონს, ასევე მიმდებარე ტერიტორიებსაც. ამ ნივთიერებების აღმოჩენა და სათანადო პირობებში შენახვა საკმაოდ რთულ და ძვირადღირებულ სამუშაოსთანაა დაკავშირებული. ცალკე თემაა სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუტში არსებული რადიოაქტიური ნივთიერებებისა და სპეციფიკური ხელსაწყოების მოვლა-პატრონობის საკითხი.

2013 წლის თებერვალში საზოგადოებრივი პალატის წევრებთან შეხვედრისას აფხაზეთის იმდროინდელმა ე.წ. პრეზიდენტმა ალექსანდრე ანჭეაბმა აღნიშნა, რომ აფხაზეთში ბევრ ადგილას იყო რადიოაქტიური ნივთიერებები, მაგრამ მათ შესახებ არავინ არაფერი იცოდა.

“ჩვენ გავიტანეთ არაერთი ტონა დაბინძურებული გრუნტი. ახლა აფხაზეთში საშიში ნივთიერებები არ არის. აფხაზეთის ტერიტორია აბსოლუტურად სუფთაა ამ გაგებით. ყველაფერი შემონახულია რუსეთის ფედერაციიდან ჩამოტანილი სპეციალური ტექნიკის საშუალებით. საქმეს იკვლევდნენ ძალზე მცოდნე და სერიოზული სპეციალისტები”.-განაცხადა ანქვაბმა. მისი თქმით, ეს ძალზე ძვირადღირებული ოპერაციაა და „რუსეთმა მასზე დიდი ფულები დახარჯა“.

ასევე, ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. საგანგებო სიტუაციათა სამმართველოს ანგარიშში, რომელიც 2013 წლის 29 იანვარს გამოქვეყნდა ნათქვამია, რომ აფხაზეთის ე.წ. საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს მუშაკებმა 2012 წლის ოქტომბერში უშუალო მონაწილეობა მიიღეს გუდაუთის რაიონიდან რადიოაქტიური გრუნტის გატანასა და უტილიზაციაში.

ამავე პერიოდში გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდის“ რედაქტორმა ინალ ხაშიგმა გაზეთ „ეხო კავკაზასთან“ საუბარში განაცხადა, რომ რადიოაქტიური ნივთიერებების სამარხები მართლაც იყო საბჭოთა პერიოდიდან სოხუმსა და აგუძერაში. მაგრამ იმ დროს ყველაფერი მკაცრად კონტროლდებოდა. მხედველობაში მიიღებოდა არა მხოლოდ ის, რომ ეს ნივთიერებები საშიში იყო, არამედ ისიც, რომ სამარხები უშუალოდ საკურორტო ზონაში მდებარეობდა. „2008 წლის შემდეგ ეს სამარხები რადიოაქტიური ნარჩენებით რუსეთის ფედერაციაში იქნა გატანილი „როსატის“ ხელმძღვანელის კირიენკოს უშუალო თაოსნობით. და არა მხოლოდ რადიოაქტიური ნარჩენების სამარხები, არამედ დიდი რაოდენობით ქლორის ნარჩენებიც, რომლებიც ასევე რუსეთში გაიტანეს და რუსეთის ტერიტორიაზე მოახდინეს მისი უტილიზაცია.“

ხაშიგი, ასევე მიუთითებს, რომ ქართული მხარე ხშირად სპეკულირებს აფხაზეთში საშიში რადიოაქტიური ნარჩენების არსებობისა და მათზე სათანადო კონტროლის არ არსებობის თემით, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

2013 წლის მარტის თვეში სამხრეთ კორეის დედაქალაქში, სეულში ბირთვული უსაფრთხოების სამიტის დაწყებამდე აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ სეულის პანკუკის უცხო ენათა უნივერსიტეტში სიტყვით გამოსვლისას საქართველო მოიხსენია იმ ქვეყნებს შორის, სადაც გამდიდრებული ურანის კონტრაბანდა რამდენჯერმე წარმატებით აღკვეთეს. სეულის სამიტზე საქართველომ ერთხელ კიდევ მოითხოვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო კონტროლის მექანიზმების ამუშავება. “პოსტსაბჭოთა სივრცეში ბირთვული უსაფრთხოების გასაძლიერებლად ჩვენ ძალისხმევას გაორმაგება გვჭირდება. ამ რეგიონებში დიდი რაოდენობით ბირთვულ ნივთიერებებთან ერთად არის ქვეყნები, რომლებსაც კონტრაბანდისტებისა და საშიში დაჯგუფებების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სჭირდება. ჩვენს რეგიონში საჭიროა ძლიერი და გრძელვადიანი საერთაშორისო ჩართულობა.” - აღნიშნეს საქართველოს წარმომადგენლებმა.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე რადიოაქტიური მასალების არსებობისა და მათი შემდგომი ბედის თემა მომდევნო წლებშიც გაჟღერდა. ქართული მხარე თვლიდა, რომ რადიოაქტიური ნარჩენების საკითხი აფხაზეთში დახურული არ იყო. კითხვის ნიშნის ქვეშ რჩებოდა ამ ნივთიერებების ნარჩენების სამარხების დაცულობის, ხოლო 2008 წლის შემდეგ მათი აფხაზეთიდან გატანის ნამდვილობის საკითხი.

2017 წელს მიუნხენში უსაფრთხოების თემაზე გამართულ კონფერენციაზე რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონები ტერორიზმისა და ნარკომოვაჭრების დერეფნებად იქცა.

„ჩვენ სავსებით ვაკონტროლებთ ჩვენს საზღვრებს, გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა“. - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა ლავროვის საპასუხოდ და ამით მიანიშნა, რომ საოკუპაციო რეჟიმი ვერ აკონტროლებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას, რაც საფრთხეს უქმნის მთლიანად კავკასიის რეგიონს..

ზემოთქმულის დასტურად მან ხაზი გაუსვა, რომ ქართველმა სამართალდამცველებმა არაერთხელ აღკვეთეს ოკუპირებული აფხაზეთიდან და ე.წ. სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე რადიოაქტიური მასალების უკანონოდ შემოტანის მცდელობა. „რადგანაც ოკუპირებული ტერიტორიები არ კონტროლდება, ეს შეიძლება საფრთხედ იქცეს მეზობელი ქვეყნებისათვის“.

ამ განცხადების გაკეთებიდან მეორე დღეს საქართველოს პრეზიდენტს სოხუმიდან სოხუმის ფიზიკა-ტექნიკური ინსტიტუტის ე.წ. დირექტორი ანატოლი მარხოლია გამოეხმაურა, რომელმაც აღნიშნა, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ამჟამად არ არსებობს არც რადიოაქტიური მასალები და არც მათი ნარჩენები. მისი თქმით, 7-8 წლის წინ ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ინსპექტორებმა აფხაზეთის ტერიტორია შეამოწმეს. „იმ დროისთვის აქ საშიში ნივთიერებები არ იყო და შემდეგში რანაირად უნდა გაჩენილიყო. არ ვიცი რას ეფუძნება ასეთი ინფორმაცია .თანამედროვე აფხაზეთში ასეთი ნივთიერებები არ არსებობს“- განაცხადა მარხოლიამ „სპუტნიკ აბხაზიასთან“ საუბარში.

ცხადია, ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული განუკითხაობა და უკონტროლო ვითარება დამშვიდების საფუძველს არ იძლევა, ამიტომ რადიოაქტიური ნივთიერებებისა და მათი ნარჩენების საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნა არ შეიძლება, ის მუდმივი ყურადღების ცენტრში უნდა იყოს. მითუმეტეს რომ , საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ამ საშიში ნივთიერებების გადმოტანის შემთხვევები 2008 წლის შემდეგაც დაფიქსირდა, მას შემდეგ, რაც აფხაზური მხარის მტკიცებით რუსეთმა რადიოაქტიური მასალების სამარხები თავის ტერიტორიაზე გადაიტანა და მათი უტილიზაცია მოახდინა.

* * *

ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული საგანგაშო ეკოლოგიური სიტუაციასთან დაკავშირებით ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ფაქტები და მასალები ძირითადად ღია წყაროებიდან და ექსპერტების გამოსვლებიდან არის აღებული. იმის გამო, რომ დღეისათვის ოკუპირებულ ტერიტორიიდან ადრე მოქმედი ყველა საერთაშორისო ორგანიზაცია განვეულია და მათი წარმომადგენლები იქ შესვლას ვერ ახერხებენ, თავისთავად კონტროლის და მონიტორინგის მექანიზმიც არ არსებობს. ამდენად, საერთაშორისო მონიტორინგის მხრიდან ბოლო წლებში არ მიმდინარეობს მიზანმიმართული მუშაობა ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური პროცესების შესასწავლად, იმ დარღვევების აღმოსაჩენად, რომელიც ბუნებას და ზოგადად ეკოსისტემას აზიანებს და რაც საბოლოო ჯამში, პირდაპირ აისახება იქ მცხოვრები ადამიანების ცხოვრების ხარისხზე.

სამწუხაროდ, ბოლო დროს ძალიან ცოტა ინერება ქართულ მედია-გამოცემებშიც ოკუპირებული ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური სიტუაციის შესახებ, შესაბამისი უწყებებიც სათანადოდ არ ინტერესდებიან იქ მიმდინარე პროცესებით, რაც სეპარატისტულ დაჯგუფებებსა და არაკეთილსინდისიერ მენარმეებს ხელ-ფეხს უხსნის უკანონო ქმედებებისაკენ, რასაც ადასტურებს

ბოლო დროს სეპარატისტულ ხელისუფლებასა და საოკუპაციო ძალას შორის დადებული არა ერთი შეთანხმება, მათ შორის რუსულ ბაზარზე ინერტული მასალების გატანის შესახებ.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, აუცილებლად მიგვაჩნია საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ეკოლოგიის თემაზე მომუშავე უწყებებისა და ინსტიტუტების ჩართვა ოკუპირებულ აფხაზეთში მიმდინარე ეკოლოგიური პროცესების მონიტორინგისა და შესწავლის საქმეში, რაც ერთგვარად შეავსებს იმ ვაკუუმს, რაც აქამდე არსებობდა.

გამოყენებული წყაროები

1. <http://sevastopol.press/2018/06/11/v-krym-vezut-scheben-iz-abhazii/>
2. <https://crimea.kz/329422-V-Krym-vezut-sheben-iz-Abhazii.html>
3. <https://sputnik-abkhazia.ru/Abkhazia/20180618/1024246722/abxaziya-otpravit-morem-v-krym-novyj-gruz-shhebnya.html>
4. Abkhaz auto.ru
5. Abkhazia inform
6. http://greenalt.org/old/index_next.php?filename=ge_16_11_2009_07_12_32.new&pathm=webmill/d_ata/news/inmedia_archive/&lng=ge_&more=1&c=inmedia_archive
7. <https://jamnews.net/%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%AE%E1%83%90%E1%83%96%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%A1%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%96%E1%83%98%E1%83%93%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%98/?lang=kaEkhokavkaza>
8. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1541900.html>
9. <https://www.radiotavisupleba.ge/a/1543176.html>
10. <https://old.civil.ge/geo/article.php?id=14409>
11. <http://saqinform.ge/news/6713/saqarTvelo+da+ashsh+sazRvris+dacvis+gasaumhobeseblad+Tanamshromlobas+agrZeleben+.html>
12. http://expertclub.ge/portal/cnid__4521/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx
13. <http://www.accentnews.ge/ge/news/details/67042>
14. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სსიპ აფხაზეთის გეოლოგიისა და მინერალური რესურსების სააგენტოს ბროშურა „აფხაზეთის შავი ზღვის სანაპირო ზოლის გეოეკოლოგიური მდგომარეობა და მასზე ანთროპოგენური გემოქმედების შედეგების ანალიზი“ (თბილისი, 2019).

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის
პოლიტიკური ანალიზისა და კვლევების სამმართველო**